ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

1478-05-2-201707041607

N 05/1478
04/07/2017

www.factcheck.ge-ს რეგიონალურ ანალიტიკოსს

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

თქვენი, აჭარის ა/რ მთავრობის აპარატიდან მიმდინარე წლის 27 ივლისს, სამინისტროში შემოსული განცხადების პასუხად გაწვდით შემდეგ ინფორმაციას:

➢ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე სოციალური სახლების მშენებლობა (მათ შორის არსებული კორპუსების რეაბილიტაცია) დაიწყო 2012 წლიდან. სულ განხორციელდა 10 სახლის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

I. აჭარის ა/რ მთავრობის ბიუჯეტის თანხებით აშენებულია/რეაბილიტირებულია 6 სოციალური სახლი. კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედის ტერიტორიაზე რეაბილიტირებულია 2 სოციალური სახლი :

✓ ქედის ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტირება დასრულდა 2014 წელს. რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 1 091 586 ლარს;

სოციალურ სახლში არსებული 54 ბინა განაწილებულია სრულად. კერძოდ, დაკმაყოფილებულია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზარალებული 54 ეკომიგრანტი ოჯახი.

✓ ქედის ყოფილი პოლიკლინიკის რეაბილიტაცია დასრულდა 2015 წელს. რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 420 586 ლარს;

სოციალურ სახლში არსებული 12 ბინა განაწილებულია სრულად. კერძოდ, დაკმაყოფილებულია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზარალებული 12 ეკომიგრანტი ოჯახი.

2. შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევის ტერიტორიაზე რეაბილიტირებულია ყოფილი საავადმყოფოს შენობა, რომელშიც საცხოვრებელი ფართები გადაეცათ შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზარალებულ 54 ეკომიგრანტ ოჯახს. რეაბილიტაცია დასრულდა 2015 წელს. რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 1 141 953 ლარს;

3. ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაშლოვანში მდებარე 72 ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა 2016 წელს, მშენებლობისათვის გამოიყო 3 835 319 ლარი.

სოციალური სახლი განაწილებულია ნაწილობრივ. კერძოდ, ამ ეტაპზე სამთავრობო კომისიის მიერ სარეკომენდაცია გადაწყვეტილება მიღებულია ხულოს მუნიციპალიტეტში დაზარალებულ 45 ეკომიგრანტ ოჯახზე (გადაცემის პროცდურები დაწყებულია,

10 ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ №119
№119 acad. Mamia Komakhidze str. BATUMI
ტელ.\ფაქსი: (0-422) 24-79-71
tel . (0-422) 24-79-02

დასრულდება შესაბამისი ხელშეკრულებების რეესტრში გაფორმებისთანავე). ადგილობრივი კომისია აგრძელებს მუშაობას, დაზარალებული ოჯახების შერჩევის მიზნით.

4. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენებულია 2 სოციალური სახლი :

✓ თამარის დასახლება, ტბეთის ქუჩაზე არსებული სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა 2014 წელს. მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 5 085 181 ლარს;

სოციალურ სახლში არსებული 116 ბინა განაწილებულია სრულად. კერძოდ, დაკმაყოფილებულია ქობულეთში დაზარალებული 65, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაზარალებული 32 და ბათუმის მუნიციპალიტეტში დაზარალებული 19 ეკომიგრანტი ოჯახი, აღნიშნულ სახლში ფართები გადაეცა 3 სოციალურად დაუცველ უსახლკარო ოჯახს (2-ომის ვეტერანი, 1- ტრაგიკულად დაღუპული არასრულწლოვანის ოჯახი).

✓ თამარის დასახლება, N-29 მიმდებარედ არსებული სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა 2016 წელს. მშენებლობისთვის გამოყოფილი იყო -3 060 773 ლარი;

58 ბინიანი სოციალური სახლი განაწილებულია ნაწილობრივ. კერძოდ, ამ ეტაპზე სამთავრობო კომისიის მიერ სარეკომენდაცია გადაწყვეტილება მიღებული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ 39 ეკომიგრანტი ოჯახის (გადაცემის პროცდურები დაწყებულია, დასრულდება შესაბამისი ხელშეკრულებების რეესტრში გაფორმებისთანავე) დაკმაყოფილების მიზნით. ადგილობრივი კომისია აგრძელებსმუშაობას, დაზარალებული ოჯახების შერჩევის მიზნით.

II. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია სულ 4 სოციალური სახლის მშენებლობა/რეაბილიტაცია. კერძოდ:

1. ხელაჩაურის მუნიციპალიტეტში:

✓ სოფელ კაპრეშუმში 50 ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა 2016 წელს. მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა -1 611 188 ლარს. ბინები გადაეცათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზარალებულ 50 ეკომიგრანტ ოჯახს.

✓ ქ. ბათუმში, ურეხის დასახლებაში მდებარე 23 ბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა 2017 წლის დასაწყისში. მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა - 1443 089 ლარს. ფართები განაწილებულია ნაწილობრივ. კერძოდ ამ ეტაპზე ადგილობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დაზარალებული 15 ეკომიგრანტი ოჯახის დაკმაყოფილებისათვის (გადაცემის პროცდურები დაწყებულია, დასრულდება შესაბამისი ხელშეკრულებების რეესტრში გაფორმებისთანავე). ადგილობრივი კომისია აგრძელებს მუშაობას დარჩენილი ოჯახების შერჩევის მიზნით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულია 2 შენობა:

✓ სოფელ ჩაისუბანში, 4 ოჯახისათვის განკუთვნილი შენობის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 74 400 ლარი. რეაბილიტაცია დასრულდა 2016 წლის ბოლოს. ფართები გადაეცათ ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ 4 ეკომიგრანტ ოჯახს.

✓ დაბა ჩაქვში, აჭარის ქუჩა N-1-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 74 400 ლარი. ადგილობრივი კომისია აგრძელებს მუშაობას დარჩენილი ოჯახების შერჩევის მიზნით.

➢ ზემომითითებულ სოციალურ სახლებში არსებული ფართები განაწილდა ეკომიგრანტ ოჯახებზე, რომლებსაც დაზარალების კატეგორია მიენიჭათ შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები და აკმაყოფილებენ მოქმოდი ნორმატიული .

➢ 2017 წლისათვის სოციალური სახლების მშენებლობა არ იგეგმება.

➢ ოცნების ქალაქში შეჭრილ ოჯახთა რაოდენობა დაახლოებით 1500-მდეა (თუმცა აღნიშნული რაოდენობა ყოველდღიურად იცვლება). ამათგან სტიქიით დაზარალებულ ოჯახთა რაოდენობა 2016 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით შედარებით მცირე იყო (დაახლოებით 25-ოჯახამდე). რამოდენიმე ეკომიგრანტ ოჯახს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს, უკვე გადაეცათ საცხოვრებელი ფართები, ხოლო ნაწილი ჩართულნი არიან ,,ეკომიგრან ოჯახების საცხოვრებელი ფართებით" უზრუნველყოფის პროგრამაში. კერძოდ:

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს შორის 2014 წლის თებერვალში გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ,ე.წ. ,,მუყაოს" ქალაქში მცხოვრებ 2 ეკომიგრანტ ოჯახს შეესყიდა საცხოვრებელი სახლი.

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ეკომიგრანტთა უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ე.წ. ,,მუყაოს" ქალაქში მცხოვრებ 1 ეკომიგრანტ ოჯახს პროგრამის ფარგლებში შეუსყიდა საცხოვრებელი სახლი.

✓ ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის" რეკომენდაციით ე.წ. ,,მუყაოს" ქალაქში მცხოვრები 6 ეკომიგრანტი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით (3 ეკომიგრანტ ოჯახს ბინები გადაეცათ ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში მდებარე სოციალურ სახლში. 3 ეკომიგრანტ ოჯახს ბინები გადაეცემათ ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ.ვაშლოვანში მდებრე სახლში დაკმაყოფილდება).

✓ დაახლოებით 8 ეკომიგრანტი ოჯახი დაკმაყოფილებულია პროგრამის ფარგლებში.

✓ 2 ეკომიგრანტმა ოჯახმა უარი განაცხადა შეთავაზებულ დახმარებაზე და ცხოვრებას აგრძელებენ ე.წ. ქოხებში.

პატივისცემით,

ზაალ მიქელაძე

მინისტრი

ხელმძღვანელობა